საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტ... სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 246

1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

კვირას, ივლისის 16, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა ვერაგულად მოკლულ

დიმიტრი (ტიტო) დავითის ძე

ფარესიშვილისა.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, განსვენებულის დედა ნინო ფინაზის ასული, ძმა არჩილი და რძალი თამარი შვილებით. პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა ნაშუადღევის პირველ საათზე.

ივანე ზაალის ძე, ნინა დავითის ასული სვანიშვილები შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 ივლისს, გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველის სიდედრი, მეორესი დედა და დანარჩენთა ძვირფასი ბებია

მატა შაქარიშვილისა (შარაშიძის ასული)

(პასაჟი კროშკა) გამოსვენება 15 ივლისს, 4 საათზე, მიხეილის ქუჩა, 165. დასაფლავება მოხდება იმავე დღეს დიდუბის სასაფლაოზე

ორშაბათს, ივლისის 17-ს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლის შენობაში შესდგება

ტფილისის ქალაქის 2-ე საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. გერმანიის ამბების შესახებ.
2. პრეზიდიუმის განცხადება.
3. მიმდინარე საქმეები.

საკითხების სერიოზულობის გამო, ყველა წევრების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი: **მეხხი.**

მოსავლის მდგომარეობა ჩვენში

გასულ წელში ჩვენი ერი უდიდესი უბედურების წინაშე დასდგა. სიმშილის შავი აჩრდილი შემოიჭრა ჩვენს სამშობლოში და ფიზიკურ განადგურებას უქადდა ჩვენს ხალხს. საჭირო იყო მეტად დიდი ენერგიის გამოჩენა და მიზანშეწონილი გეგმით გამოსვლა, რომ სიმშილობა გადაგვეყენა საქართველოდან და ხალხი გადაგვერჩინა მოსალოდნელ უბედურებისაგან. თუ არ იქნებოდა ცენტრალური დამხმარე ხელი და გეგმა შეწონილი მოქმედება მთელი რესპუბლიკის მაშტაბში, ხალხი თავისი ძალღონითა და რესურსებით ვერ შესძლებდა სიმშილობის წინაღმდეგ ბრძოლას და ამიტომ შესაძლებელი იყო მას რამოდენიმე წლის განმავლობაში ქრონიკული ხასიათი მიეღო.

ხალხს არ ქონდა სათესი მასალები, მასთანვე ოჯახი სიმშილით ეხოცებოდა ასეთს პირობებში საჭირო იყო, როგორც საკვები, და სათესი მასალის მოწოდება ხალხისათვის. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მთელ რესპუბლიკის მასშტაბში, ერთი მომქმედი ცენტრის დაარსებით.

თავიდანვე ხელისუფლებამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდა ხალხს ყოველის მხრით. დამშეულ ხალხის დასახმარებლად და შემოწირულებათა შესაგროვებლად შესდგა დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი, მეორეს მხრით შესდგა ცენტრალური თესვის კომიტეტი, რომლის დანიშნულება იყო ხალხისათვის შესაფერისი სათესლე მასალის მიწოდება გამოსადეგი მიწების მთელი რეზერვის დამუშავება. ორივე ამ მიმართულებით სწარმოებდა მუშაობა და, როგორც ირკვევა, მოსავალში სიმშილობა თითქმის აცილებული არის თავიდან. სხვა პირობებში აღნიშნულ კომიტეტებს შეეძლოთ უფრო მეტი გაეკეთებინათ და მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო. მაგრამ დღევანდელ პირობების მიხედვით, რაც გაკეთდა ამ დარგში ისიც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩავთვალოთ.

როგორი არის ჩვენში მოსავლის მდგომარეობა და რა მხრით განვითარდა უფრო თესვის კომიტეტების მუშაობა?

ამ დღეებში დამთავრდა საქართველოს თესვის კომიტეტების ყრილობა სადაც დაწვრილებითი ანგარიშები იყო წარმოდგენილი აღნიშნულ მუშაობის შესახებ და მასთანვე გამოირკვეულია თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს.

ამ ცნობების განხილვიდან ჩვენ საშუალება მოგვეცემა უტყუარი დასკვნები გამოვიყვანოთ და წინასწარ გავათვალისწინოთ თესვის კამპანიის შედეგები.

შარშანდელს მოუსავლობას ხელი შეუწყო, როგორც ბუნების სიჯიუტემ, დაუსრულებელმა გვალვებმა გაზაფხულზე და ზაფხულზე, ხშირმა წვიმებმა შემოდგომაზე, ისე სათესი მასალის უქონლობამ. რამოდენიმედ ამ გარემოებაში წილი ედო იმ პოლიტიკურ პირობებსაც რომელშიაც ჩავარდა საქართველო 1921 წლის გაზაფხულის დასაწყისზე. ხალხი მალე ვერ გამოირკვა, მოსხდარმა გარემოებამ მასზე გავლენა მოახდინა და დააგვიანა მიწების დათესვა. შემდეგ კი დადგა გვალვებში და შეუძლებელი შეიქმნა თესვის გაგრძელება.

ბუნების სიჯიუტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთობ უძლურნი ვართ, ჩვენი გაუნათლებლობა და ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა ჩვენში ვერ განვითარდა და დღესაც იმავე იარაღით ვხნავთ მიწებს, რომლითაც ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები ამ რამოდენიმე საუკუნის წინეთ. ამ მხრივ ჩვენი მეურნეობა კრიზისს განიცდის და მისი იქიდან გამოყვანა არც ისე ადვილი საქმეა. სასოფლო მეურნეობის კულტურით ჩამორჩენით შეიძლება აიხსნას ის გარემოებაც, რომ ჩვენში არ არის განვითარებული ფართოდ სარწყავი არხები, სეტყვის წინაღმდეგ საბრძოლველი იარაღები, არა გვაქვს საშუალება ჰაობების დაშრობისა და ნაკლებად გამოსაყენებელი მიწების განაყოფიერებისათვის; ერთი სიტყვით, ჩვენი სასოფლო მეურნეობის კულტურა და ტეხნიკა განუვითარებელი არის; აქედან წარმოსდგა ის, რომ ჩვენი მიწის მოსავლის განაყოფიერებამ ვერ წაიწია წინ და ძლიერ ხშირად გვამარცხებს ჯიუტი ბუნება. ასეთს პირობებში ჩვენ რასაკვირველია, ვერ ავსცდებით და ვერ შევებრძოლებით მოსალოდნელ უბედურებას და ძლიერ ხშირად გავხდებით ბუნების სიჯიუტის მსხვერპლი. ამიტომ უდიდეს საქმედ უნდა ჩაითვალოს ის მუშაობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს მთელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების კარნახით და გეგმებით მოსარწყავ არხების გაყვანისათვის. ეს ნაბიჯი მეტად დიდი ღირებულების არის, მას უდიდესი მნიშვნელობა იქნება ჩვენი სასოფლო-მეურნეობის წარმატების საქმეში და შეგნებული მშრომელი მასა დააფასებს ამ დიდ საქმეს. რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება ჩვენი სოფლის მოთხოვნილებანი და მისი ინტერესები, ეს მხოლოდ პირველი საფეხური არის, რომელზედაც უნდა აშენდეს ფართო გეგმა შეწონილობით დიდი მუშაობა ჩვენი მეურნეობის აღსადგენად და ტეხნიკური კულტურის განსავითარებლად.

ამ გვარად ბუნების სიჯიუტის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადგმული არის პირველი მოზრდილი ნაბიჯი და მას შემდეგაც უნდა მოყვეს. რაც შეეხება ხალხისათვის სათესლე მასალების მიწოდების საქმეს აქაც ჩვენ საინტერესო მუშაობასთან გვაქვს საქმე და ამაზე უფრო ფართოდ შევჩერდებით. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ხალხს საკუთარის ძალღონით არ შეეძლო გამოსულიყო და მთელი ფონდი სათესი მიწებისა დაემუშავებინა; ამისათვის მას არ ქონდა სათესლე მასალა. ამიტომ საჭირო იყო დიდი დახმარება ხელისუფლების მხრით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო კვლავ დარჩენილიყო დაუთესავი დიდძალი მიწები, რაც გამოიწვევდა ქრონიკულ სიმშილობას ჩვენში.

რუსეთის ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ფიქსაციის თანახმად 1915 წლისათვის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში დათესილი იყო 600.000 დეს. მიწა. 1921 წელში ჩვენმა მშრომელმა ხალხმა შესძლო საკუთარი რესურსებით მხოლოდ 440.000 დეს. დათესვა. ახალმა ხელისუფლებამ მიაწოდა 80.000 დეს. დასათესი თესლეულობა და ფული. ასე, რომ გასულ წლის განმავლობაში დაითესა აღნიშნულ გუბერნიებში სულ 520.000 დესიატინა. დაუთესავი დარჩა 80,000 დესიატინა. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ დასათესი მიწები უფრო მეტი არის ჩვენში, ვინემ ამას გვაწვდის 1915 წ. ფიქსაცია, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ გასულ წელში საკმაოდ მოზრდილი ფონდი მიწისა დარჩა დაუთესავი. რასაკვირველია, ამით ჩვენი მოსავალი ძლიერ შემცირდა და სიმშილობა უფრო გაძლიერდა.

მიმდინარე წელში ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ რამდენიმედ გამოსწორდა. ჩვენს ხელთ არ არის სრული სტატისტიკა, მაგრამ როგორც გამოქვეყნებული ცნობებიდანაც ირკვევა, საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი მაზრა, სადაც დასათესი მიწის სივრცე არ გაზრდილიყოს რამოდენიმე პროცენტით მიმდინარე წელში.—მეორეს მხრით, მთავრობამ შესძლო სათესლე მასალის მიწოდება ხალხისათვის. როგორც ვიცით, ჩვენი მეზობელი ბედნიერი შეიქმნა იმ მხრივ, რომ ის გაივსო შემოტანილი პურეულობით. ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების სათესლე მასალა ბლომად შემოიტანეს ჩვენში და ამიტომ შესაძლებელი შეიქმნა ხალხისათვის სათესლე მასალების მიწოდება. სულ მცხოვრებს დაურიგდათ 407 818, 5 ფ. სათესლე ხორ. ეს რიცხვი არ არის დამაკმაყოფილებელი იმ მოთხოვნილების მიხედვით, რომელსაც განიცდიდნენ დამშეული რაიონები, მაგრამ დღევანდელს ჩვენს პირობებში ესეც აღსანიშნავია.

სამაგიეროდ თვით ხალხმაც გამოიჩინა დიდი უნარი და ენერგია, და მუყაითად შეუდგა დათესვას, მიწების გადამუშავებას. შედარებით გასულ წელთან, მიმდინარე წელში გაცილებით მეტი მიწის სივრცე არის დამუშავებული. ესკი ძლიერ გაზრდის წლეულ ჩვენს მოსავალს.

დათესილ მიწების შესახებ მთელს საქართველოში ჩვენს ხელთ არ არის სრული სტატისტიკური ცნობები. ამიტომ ვეცდებით რამოდენიმე მაზრის მიხედვით მოვიყვანოთ ცნობა, საიდანაც ნათელი გახდება მთელი თესვის კამპანიის შედეგები.

სიღნაღის მაზრაში დათესილია 1921 წ. 36.000-დე დესეტინა, წელს კი 51,000 დეს. გორის მაზრაში გასულ წელს დათესილი იყო 35.000 დეს., მიმდინარე წელში—45 000 დეს. თელავის მაზრაში დათესილია გამოსადეგარ მიწის თითქმის 100 პროც. ბორჩალოს მაზრაში—სულ დათესილია 20.894 დეს., რაც შეადგენს 55 პროც. გლეხის სახნავი მიწისას. სენაკის მაზრაში 1921 წელთან შედარებით დათესილი მიწები გაიზარდა 22.192 დესიატინით. საერთო სივრცე სახნავი მიწებისა უდრის 56-951. 5 დეს. ქუთაისის მაზრაში მთელი სახნავი მიწის სივრცე უდრის 80.000 დეს., 1917 წ.—დათესილი იყო 19.863 დეს., 1921 წ,—50—55.000 დესიატინამდე; მიმდინარე წელში—70.000 დეს., ახალქალაქის მაზრაში დათესილია 30.113 დეს., ანუ 60 პროც. სახნავი მიწისა; 1921 წ. შედარებით დათესილი მიწა გაფართოვდა 18.000 დესეტინით. რაჭის მაზრაში დათესილია 15.020 დეს. ე. ი. მთელი სახნავი სათესი მიწა. ლეჩხუმის მაზრაში სულ დათესილია 11 505 დეს. 1915 წ. დათესილი იყო—8 640 დეს , 1921 წ.—10 543 დეს., ზუგდიდის მაზრაში 1921 წ. დათესილი იყო 50.000 დესიატინამდე; წელს კი მიემატა 20 პროც. ოზურგეთის მაზრაში 1922 წ. დათესილია 118.800 დეს. ე. ი. 99 პროც. მთელი სახნავ სათესი მიწისა; 1915 წ. დამუშავებული იყო 30.000 დეს. ხოლო 1921 წ. 80,000 დეს. სამხრეთ ოსეთის სათესი მიწა უდრის 4,000 დეს. უთესლობისა გამო დაუთესავი დარჩა 25 პროც საყანე მიწისა. აფხაზეთშიაც სათესი მიწების სივრცე მეტად გაიზარდა 1921 წელთან შედარებით. კოდორის მაზრაში დათესილია 35 პროც. მეტი, შედარებით ომის წინა დროის დათესულ მიწებისა.

სამურზაყანოს მაზრაში დათესილია 55 პროც.-ით. მეტი გასულ წელთან შედარებით და 35 პროც.-ით მეტი ომის წინა დროის ნორმებთან.

ასეთია საერთო სურათი დამუშავებულ მიწების სივრცის გადიდების სხვა და სხვა მაზრებში. ეს ცნობები გარკვეულით გვეუბნება ჩვენ, რომ ენერგიულმა მუშაობამ ხალხისა და მთავრობის მხრით თავისი ნაყოფი გამოიღო და შედარებით გასულ წელთან საკმაოდ მოზრდილი მიწის სივრცე არის დამუშავებული.

მაგრამ ეს არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი, რომ თვით მოსავალს კარგი პირი არ უჩნდეს. წელს რამოდენიმედ ბუნებამაც შეუწყო ხელი და თითქმის ყველა მაზრებში მოსავალი კარგია: სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ცნობებიდან ირკვევა, რომ პურისა და კარტოფილის მოსავალი საშუალოზე უკეთესია.

ამ გვარად ჩვენ მიმდინარე წელში ძლიერ დიდს გამარჯვებებს მივაღწიეთ. მოსავალი კარგს შედეგებს გვიმზადებს და შემთხვევა გვეძლევა სიმშილის აჩრდილი სავსებით გავაძევნოთ საქართველოდან.

ამ დიდ გამარჯვებასთან ერთად, რომელსაც მიაღწიეს საბჭოთა რესპუბლიკებმა პოლიტიკურს სფეროში, სამეურნეო დარგში ასეთი გამარჯვების მიღწევა დიდი პერსპექტივების მაჩვენებელია.

გამაგრება ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობისა ნიშნავს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გაძლიერებასა და რევოლიუციის უზრუნველყოფას ყოველგვარ საფრთხისაგან.

ხ. დევიანი.

ნარკვევი

ინგლისის მუშათა პარტია და ერთიანი ფრონტი.

ინგლისელი კომუნისტი ტომას ბელი მოსკოვის „პრავდაში" ეხება ინგლისის მუშათა პარტიას. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით.

ინგლისის მუშათა პარტია ძალიან ჭრელი შემადგენლობისაა და არც კი შეიძლება მას პარტია ეწოდოს. უფრო ეს არის ტრედიუნიონების, საქარხნო კომიტეტებისა და რამოდენიმე სოციალისტურ ორგანიზაციების გაერთიანება. ასეთი პარტია წმინდა ბრიტანული მოვლენაა. არსად მსგავსი რამ არ არსებობს.

ამ პარტიის მთავარი ფინანსიური და მორალური ძალა არის ძლიერი ტრედიუნიონები. ამ 20 წლის წინად იყო ცდა, რომ ინგლ. მუშათა პარტიას მიეღო გარკვეული სოციალისტური პროგრამა. ამის წინააღმდეგი იყო ამას წინად გარდაცვლილი კეირგარდი და ბრუს ბლეიერი. ორივე პირები დამაარსებელნი ეხლანდელი დამოუკიდებელი მუშათა პარტიის, რომელიც შედის ორნახევარ ინტერნაციონალში.

დღემდის არავინ დაინტერესებულა პროგრამით ამა თუ იმ სოციალისტური ორგანიზაციისა, რომელიც შედის მუშათა პარტიაში. უკიდურესი „მემარცხენენი" და ზომიერი „მემარჯვენენი" ერთად ყრიდნენ თავს შრომის პარტიაში.

სოციალ-დემოკრატიული ბანაკის დოქტრინიორებმა ბრძოლის ველი დატოვეს დამოუკიდებელ მუშათა პარტიას და თვითონ მარქსიზმის „წმინდა დოქტრინისს" პროპაგანდას შეუდგნენ. დამოუკიდებ. მუშათა პარტიამ ისარგებლა ამით და იწყო პრაქტიკული მუშაობა პროფკავშირებში, კოოპერატივებში და სხვ. მუშათა ორგანიზაციებში; აგრეთვე სოციალისტურ კლუბებში. დამოუკ. მუშ. პარტია ყველგან იყო, ეწეოდა კრიტიკას და დაიჭირა ხელმძღვანელი პოსტები. ცდილობდა მთელი ორგანიზაციისათვის მიეცა თავის სახე. ამ ნიადაგზედ წარმოიშვა კარიერისტები და პოლიტიკანები, რომლებიც ეხლა აბრკოლებენ მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას. ამით აიხსნება, რომ მუშათა პარტიის წევრთა ცხრა მეათედი არის ან თანამდებობის პირი ან აქტიური წევრი დამოუკ. მუშათა პარტიისა.

მათი მოქმედების შინაარსი გამოააშკარავა კომპარტიამ, რომელმაც შეიტანა მარქსისტული თეორია და სარევოლიუციო პრაქტიკა.

კომპარტიის განცხადებამ, რომ ის შედის მუშათა პარტიაში და სურს მონაწილეობდეს მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლაში ცხადჰყო, რომ კომუნისტებს უნდათ იქმნენ მასიური პარტიად და არ დარჩნენ მარტო კულტურულ-განმანათლებელ კლუბად.

მუშათა პარტიის ბელადებმა ამაზედ უარით უპასუხეს. ამ ბელადების უმრავლესობა დამოუკ. მუშათა პარტიის წევრებია. კომპარტიამ გააცხოველა მუშაობა მასაში და 19 ორგანიზაციებში მიზანს მიაღწია. ლონდონში და გლაზგოშიაც მათ განცხადებას თანაგრძნობით შეხვდნენ. ამის შემდეგ კომპარტიის აღმასკომმა მიმართა მუშათა პარტიის აღმასკომს, რომ გაემართათ შეერთებული თათბირი რაიმე შეთანხმების მისაღწევად.

ორი საათის კამათის შემდეგ კომუნისტებმა დასტოვეს თათბირი და უცდიდნენ საკითხის გადაწყვეტას მუშ. პარტიის კონფერენციაზედ ივნისის 27 ედინბურგში. კამათმა დაარწმუნა კომუნისტები, რომ მათი შესვლა მუშ. პარტიაში შექმნიდა ახალ მდგომარეობას. ჰენდერსონის და სიდნეი უების წინააღმდეგობა ადვილი გასაგებია. ესენია პროფესიონალი პოლიტიკანები და არ ეფარებიან ცრუ-სოციალისტურ ფრაზებს. მაგრამ სულ სხვაა ჯოვეტი, მაკდონალდი და საზოგადოთ დამოუკიდებელნი. მათ სოციალისტებად მოაქვთ თავი და თავს მონოპოლიად სთვლიან მუშათა კლასის სახელით ლაპარაკს. როგორც თათბირიდან, ისე დამ. მუშ. პარტიის სააღდგომო კონფერენციიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელნი არ დაუჭერენ მხარს კომუნისტების მუშ. პარტიაში მიღებას. ორივე პარტია შეთანხმდა კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჰენდერსონი კომპარტიას აბრალებდა ანარქიზმს, რადგან ისინი პარლამენტარიზმს არ სთვლიან პროლეტარიატის სოციალურად განთავისუფლების საშუალებათ. ის ამტკიცებდა, რომ კომუნისტები სრულიად უარყოფენ პარლამენტარულ დაწესებულებებს, რაც მართალი არ არის, ვინაიდან კომუნისტები ყველგან ებრძვიან პარლამენტებში, მაგრამ ეს არ მიაჩნიათ საკმაოდ და აწარმოებენ რევოლიუციონურ ბრძოლასაც. ვენის ინტერნაციონალიც შეიარაღებულ აჯანყებას სთვლის ბურჟუაზიული დემოკრატიის დამხობით. და ამ ინტერ-

ნაციონალში შედის სწორედ დამოუკ. მუშათა პარტია, რომლის წევრი ჯოზეტი იყო მუშათა პარტიის პრეზიდიუმში.

შემდეგ კომუნისტების წინააღმდეგ ამყარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ ისინი მოქმედებენ „მოსკოვის ბრძანებით" რაც შეუძლებელს გახდიდა პარლამენტში მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას. ამაზედ კომუნისტებმა უპასუხეს, რომ კომინტერნის წევრობა მათ არ ართმევს ინიციატივას ინგლისის საქმეებში.

როგორც ვიცით მუშათა პარტიის კონფერენციამ ედინბურგში თავისი ზედლეგების რჩევით არ მიიღო კომპარტია წევრად. გარდა ამისა მუშათა პარტიის წესდება სავალდებულო გახადეს ყველა დელეგატებისა და თვითმართველობათა კანდიდატებისათვის. ასეთი დაბრკოლებათა მოწყობით ცდილობენ კომუნისტებისაგან თავდაცვას ეს ნაფიცი დემოკრატები. კომპარტიის არ გაშვება მუშათა პარტიაში აშკარა ფაქტია საბოტაჟისა ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ.

ბრიტანეთის მუშათა პარტია

ბრიტანეთის მუშათა პარტიის კონფერენციამ 28 ივლისს მიიღო რეზოლუცია ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვენ მოკავშირეთა ოკუპაციის მოხსნას გერმანეთის ტერიტორიისაგან.

შემდეგ რეზოლუცია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის დაუყოვნებლივ ცნობას, იაპონიის იძულებას ციმბირიდან ჯარის გაყვანისა და ყოველგვარ სამხედრო კავშირის უარყოფას. რეზოლუციის შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მუშათა პარტიამ ინიციატივა უნდა აიღოს საერთო განიარაღების საკითხის დასმის შესახებ. ამას გარდა არის რეზოლუციაში მეორე შენიშვნაც, რომელიც პარტიას აფრთხილებს, რომ ხელი არ შეუწყოს რაიმე სამხედრო კავშირებს და ხელშეკრულებებს.

ცხოველი კამათი გაიმართა იმ რეზოლუციის შესახებ, რომელიც ახასიათებდა „მკაცრსა და უსამართლო მოპყრობას სოციალისტ-რევოლუციონერების" მიმართ მთავრობის მიერ. რეზოლუცია აცხადებს, რომ „ასეთი ამბები არის უდიდესი შეურაცხყოფა მუშათა კლასის სამართლიანობის გრძნობისა და იმ ტრადიციის, რომელსაც მუშათა პარტია მოიგონებს აღშფოთებით და სირცხვილით". ეს რეზოლუცია შეტანილ იქნა [illegible] კრაპინის მიერ აღმასრულებელი კომიტეტის სახელით და გამოთქმული იყო აზრი სამართლიანათ სამსჯავროს მოთხოვნის შესახებ ბრალდებულთათვის. სიდნეი უებმა, რომელმაც აზრი დაუჭირა ამ რეზოლუციას აღნიშნა, რომ მისი მიღება ნიშნავს კეთილ გავლენის მოხდენას რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ, რომელსაც ასე ინტერესით ყურს უგდებს სხვა ქვეყნების მუშათა კლასი. კოლტი გამოვიდა რეზოლუციის წინააღმდეგ, რადგან იგი შემოტანილ იყო წინასწარ გაფიცხილების გარეშე და კონფერენციას საშუალება არ ქონდა რაიმე ფაქტები დაემუშავებინა ამ საკითხის გარშემო. მან გამოსთქვა რწმენა, რომ ვანდერველდემ დატოვა რუსეთი მხოლოდ იმისთვის, რომ მან გაიგო ადგილობრივ, რომ ბრალდებულნი მართლაც დამნაშავენი არიან.

რეზოლუციის დასაცავად გამოვიდა უაკი, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებულნი იბრძოდნენ მეფის ტერორის წინააღმდეგ რუსეთში მაშინ, როდესაც ზოგი დღევანდელი ბრალდებული იმალებოდა საზღვარ გარეთ. ბოლოს რეზოლუცია მაინც მიღებულ იქნა.

მეორე და ორ ნახევარი ინტერნაციონალის გზირებმა გაიტანეს კონფერენციაზე „სამართლიანი სამსჯავროს" მოთხოვნა ესერებისათვის, რომელნიც არიან რუსეთის პროლეტარულ რევოლუციის ხელმძღვანელთა მკვლელები. ბატონ ვებბის, უაკის, გენდერსონის და სხ. დასახასიათებლად საინტერესოა მოვიგონოთ ის ცნობები, რომელიც გვაუწყებს, რომ ამ კეთილშობილმა ჯენტლმენებმა ყრილობის სხდომაზე გამოთქვეს აღშფოთება ირლანდიაში გენერალი ვილსონის მოკვლის შესახებ, რომელიც სისხლში აღრჩობდა ირლანდიის მუშებსა და გლეხებს.

საკითხი კომუნისტური პარტიის შეერთებისა წამოყენებულ იქნა პოლიტის მიერ, რომელმაც მოითხოვა რათა მოლაპარაკება განგრძელებულ იქნეს ამ საკითხის შესახებ. ხინშელვოდმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ წინადადებას აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიის შემოერთება გააძლიერებდა მუშათა პარტიას. მოწინააღმდეგემ ამ წინადადებისა რომელიმე განაცხადა, რომ მუშათა პარტია მომხრეა პოლიტიკური დემოკრატიის მაშინ, როდესაც კომუნისტები მოითხოვენ დიქტატურასა. რამზეი მაკდონალდმა ამას დაუმატა, რომ კომუნისტებს განზრახვა აქვთ დაუქმონ მუშათა პარტია და დაუმორჩილონ ისინი მოსკოვიდან მოსულ ინსტრუქციებს. პოლიტის წინადადება უარყოფილ იქმნა.

შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლუცია, შემოტანილი დამოუკიდებელთა პარტიის თავმჯდომარისაგან, რომელიც მოითხოვდა, რომ სოციალისტური პარტიები უნდა შეთანხმდნენ, რომ ეწინააღმდეგონ ყოველგვარ ომს.

რეზოლუცია მუშათა პარტიის დელეგატებს წინადადებას აძლევს შეიტანონ სათანადო საკითხი მომავალ სოციალისტურ კონგრესზე. სოციალ-დემოკრატების შესწორება ყოველი ნაციის დახმარების შესახებ, რომელსაც შელახული აქვს თავის დამოუკიდებლობა ან დემოკრატიული მმართველობა უარყოფილ იქნა სამი მილიონი ხმით. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ტომას შოუმ შეიტანა წინადადება, რომ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დახმარება გაუწიოს ინდოეთის მთავრობის საქმიანობას და ხელი შეუწყოს ისეთი საკანონმდებლო ზომების მიღებას, რომელიც ინდოეთს მიანიჭებს თვითმართველობის უფლებებს, როგორითაც სარგებლობს კანადა, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა. დამიწრე ინდოელმა კომუნისტმა განაცხადა, რომ საკანონმდებლო აქტი, რომელიც ეხება ინდოეთს, წარმოადგენს გამოწვევას ინდოეთის ხალხის მიმართ და იგი სამარცხვინო ბოძზე გაკრულ იქნა ტრედ-უნიონების კონგრესის მიერ.

რეზოლუცია მიღებულ იქნა დიდი უმრავლესობით.

გენდერსონმა და მაკდონალდმა, რომლებმაც უარყვეს კომუნისტების დაშვება მუშათა პარტიაში, ამით დაარღვიეს პროლეტარულ ფრონტის მთლიანობა და გაამაგრეს იმპერიალისტების პოზიცია, რომელნიც ყელში ხელს უჭერენ ინდოეთსა და სხვა კოლონიებს. ამიტომ რეზოლუცია ომის წინააღმდეგ არსებითად არის თვალთმაქცობა და მეტი არაფერი.

დიდი ხმის უმრავლესობით (3,699,000 წინააღმდეგ 387000) მიღებულ იქნა, რომ მუშათა პარტიის წევრების აყვანა მეფის საიდუმლო მრჩევლად არ წარმოადგენს არავითარ სასარგებლო მიზანს.

ესერების პროცესი

მოსკოვი. 13 ივლისი. 12 ივლისის დილის სხდომაზე აქვეყნებენ დოკუმენტებს, საიდანაც საბოლოოდ მტკიცდება ესერების კავშირი კრონშტადტის აჯანყებულებთან. ჩერნოვმა რეველიდან მიმართა კრონშტადტის აჯანყებულებს რადიოთი, უცხადებდა რა სრულ სოლიდარობას მატერიალურ და წინადადებას აძლევდა ჯარებითა და იარაღით დახმარებისას. რადიოში ჩერნოვი აცხადებს თანხმობას პირადათ კრონშტადტში ჩასვლისას და თავის თავს აძლევდა აჯანყებულთა განკარგულებაში. ამასთან ერთად საზღვარ გარეთ მყოფმა ესერების პარტიის წარმომადგენლებმა მისამართზე დეპეშა გაუგზავნეს კრონშტადტს, რომელშიც ისინი დახმარებას პირდებოდნენ აჯანყებულებს მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით ხალხის ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ბრალდებული გოცი აცხადებს, რომ არც პარტიის ცეკას და არც ერთ პარტიულ ორგანიზაციას კრონშტადტის აჯანყების მოწყობაში მონაწილეობა არ მიუღია. ესერების პარტიის პეტროგრადის ორგანიზაციამ გამოუშვა მოწოდება რომლითაც იგი მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლებას დათმობის გზაზე წასულიყო. პეტროგრადის ორგანიზაცია ფიქრობდა, რომ პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტარიატის ზეგავლენის საშუალებით აიძულებდა საბჭოთა ხელისუფლებას დათანხმებულიყო კონფერენციის მშვიდობიან ლიკვიდაციაზე. გოცი არწმუნებს, რომ კრონშტადტის აჯანყება მოხდა მოულოდნელად თვითონ ესერებისათვის, რომელნიც აჯანყების მოწყობაში მონაწილეობას არ იღებდა ამიტომ ამაშიც პასუხისმგებელნი არ არიან.

თავმჯდომარე პიატაკოვი აცხადებს, რომ ჩერნოვი თავის დეპეშაში აფრთხილებდა აჯანყებულებს არავითარი მოლაპარაკება არ დაეწყოთ საბჭოთა მთავრობასთან, რაც ეწინააღმდეგება გოცის განცხადებას.

გოცი აღნიშნავს, რომ ჩერნოვი აცხადებდა თითქოს საბჭოთა ხელისუფლება არა გულწრფელად აწარმოებდა მოლაპარაკებას და ბოლოს უმატებს, რომ ცეკა სრულებით ეთანხმება ჩერნოვის დეპეშას.

კრილენკოსა და პიატაკოვის შეკითხვაზე გოცი უპასუხებს, რომ ცეკა უყურებდა თავისუფალ და არჩეულ საბჭოების ლოზუნგს ისე, როგორც ხალხის ხელისუფლებამდე გადასასვლელ საშუალებას, რომ ეს საბჭოები მიიყვანდა დამფუძნებელ კრებამდე.

კრილენკოს მოთხოვნით [illegible] თანხმობით აქვეყნებენ რეველიდან ესერ მახინის წერილს პარიზის ადმინისტრატიული ცენტრის სახელზე გაგზავნილს. ამ წერილში ნათქვამია, რომ მოწყობილია ცეკას ბიურო, მოსკოვში მთელი ცეკას დაშლის შემდეგ. ბიურომ გაგზავნა პსკოვში თავისი კაცები, რომელსაც კავშირი უნდა გაება რეველის ესერების ჯგუფებთან, რომელიც ჩერნოვის მეთაურობით ხელმძღვანელობდა კრონშტადტის აჯანყებას.

ბრალდებულები აცხადებენ, რომ ისინი ამ დროს ისხდნენ ციხეში და მახინის წერილის შესახებ მათ არავითარი არ იციან.

აქვეყნებენ დოკუმენტებს, რომელიც ახასიათებს ესერების დამოკიდებულებას ეგრედ წოდებულ პარიზის დამფ. კრებასთან, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ყოფილ დამფ. კრების წევრები ესერები, კადეტები ოქტიაბრისტები და სახალხო სოციალისტები. ესერების პარტიის ცეკამ გაიგო, რომ ესერები შედიან პარიზის დამფ. კრებაში ურჩია მათ იქიდან წასვლა, ამის საპასუხოდ ჩერნოვმა გამოგზავნა წერილი, რომელშიც იგი ამართლებს პარიზელ ესერების დამფ. კრების კომიტეტში შესვლას იმით, რომ საერთო უპარტიო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გაერთიანებდა დამფ. კრების საზღვარ გარეთ მყოფ ყველა წევრებს იმისათვის, რომ უპარტიო ორგანიზაციის სახელით მიეღოთ ჩეხო-სლოვაკების ხელში მყოფი თანხები. ამ თანხების მისაღებად ცეკას წევრმა ჩერნოვმა დაარღვია მე-9 ყრილობის დადგენილება და შევიდა კოალიციაში ბურჟუაზიულ პარტიებთან.

ჩერნოვის წერილის გამო კრილენკო უსვამს ბრალდებულებს მთელ რიგ კითხვებისას, სურს რა გამოარკვიოს მათი დამოკიდებულება ჩერნოვის მოღვაწეობისადმი. ბრალდებულებს არ სურს ილაპარაკონ ჩერნოვის მოღვაწეობის შესახებ. მიუხედავად პიატაკოვისა და ლუნაჩარსკის განცხადებისა, რომ პირდაპირ პასუხს ამ კითხვებზე აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ტიმოფეევი, რაკოვი და გენდელმანი კატეგორიულად უარზე არიან სთქვან რაიმე პარტიის ცეკას ჩერნოვის საზღვარ-გარეთის მოქმედებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ზოგიერთ დამატებითი დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ტრიბუნალი ადგენს იცნოს პროცესის პირველი პერიოდი დამთავრებულად და გადადის ესერების პარტიის ტერორისტული მოქმედების განხილვაზე.

ჰააგის კონფერენცია

კრედიტები.

ბორდო. 13 ივლისი. კრასინმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ თუ რუსეთი მიიღებს კრედიტებს, შეიძლება ლაპარაკი კომპენსაციის შესახებ, მაგრამ მოლაპარაკება კერძო საკუთრების დაბრუნების შესახებ არავითარ შედეგს არ მოიტანს, რადგან ამის შესრულებაზე რუსეთი უარს იტყვის. თუ კონფერენცია არ მიიღებს გადაწყვეტილებას კრედიტების შესახებ, დაიწყება მოლაპარაკება ცალკე დაინტერესებულ კაპიტალისტებთან.

კომისიებში.

ბორდო. 13 ივლისი. კერძო საკუთრების კომისიის სხდომები შეწყვეტილია ვალების კომისიაში თავმჯდომარემ ჯერ ვერ მიაღწია საბოლოო შედეგებს. უკანასკნელი სხდომა ვალების შესახებ დანიშნულია პარასკევს.

მოსკოვი. 13 ივლისი. (დასაწყისი არ არის მიღებული)... დაიწყონ მუშაობა, [illegible] რუსეთის შესახებ და განსაკუთრებით რუსეთის ტრანსპორტის თაობაზე. იმ პირობით, რომ კაპიტალი ჩაყენებული არ იქნება უფრო ცუდ პირობებში, ვინემ ომამდის, მატერიალური და მორალური გარანტიების მიხედვით (გამოტოვებულია)...

კრასინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას არა აქვს განზრახული არსებული რკინის გზის ხაზები გასცეს კონცესიით და რომ მხოლოდ ახალი გზების გაყვანა შეიძლება გახდეს კონცესიების ობიექტი.

შეველიომ აღნიშნა, რომ უცხო კაპიტალს სურს ქონდეს ტრანსპორტის საქმეში, ისეთივე შერეული საზოგადოებანი, რომელსაც აწყობს საბჭოთა მთავრობა. როგორც მრეწველობის სხვა დარგშიც, ასეთივე აზრი გამოსთქვა პოლონეთის დელეგაციამაც.

ლიტვინოვმა შველიის გამოსვლა დაახასიათა როგორც გაუგებრობა. ჩვენ, განაცხადა ლიტვინოვმა, აქ შევიკრიბენით არა იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ კერძო კაპიტალის რუსეთში მუშაობის პირობებზე. კრედიტების კომისიას შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ (გამოტოვებული).. რუსეთის დელეგაციამ ბოლოს და ბოლოს უნდა მიიღოს განმარტება ამის შესახებ. თუ რაიმე თანხა მთავრობის გარანტიებით აღჭურვილი კრედიტებისა შეუძლია მიიღოს საბჭოთა მთავრობამ. რუსეთის დელეგაციის მიერ მოთხოვნილი განმარტებანი ჯერაც არ არის მიღებული".

ინგლისელმა დელეგატებმა აღნიშნა, რომ არა რუსულ კომისიას ნაადრევად მიაჩნია, კონფერენციის არსებულ პერიოდზე, შეეხოს ამ საკითხებს. კომისიის მშვიდობიანი ატმოსფერა არ შეეფერება კულუარების პანიკურ განწყობილებას.

იტყობინებიან, რომ საფრანგეთის დელეგაციამ მიიღო ცნობები, თითქოს ინგლისის დელეგაციის წევრები აწარმოებდნენ სეპარატიულ მოლაპარაკებას რუსეთის დელეგაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხმები კატეგორიულად უარყვეს ინგლისელებმა, ფრანგებმა მაინც საჭიროდ მოსთხოვეს პარიზს სათანადო ინსტრუქციები.

ზოგიერთი ხმების მიხედვით, აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის დელეგაციამ მიიღო ინსტრუქციები პუანკარედან და ამ კვირის ბოლოს იგი დატოვებს ჰააგას. დამახასიათებელია ფრანგი დელეგატების მოქმედება, რომელნიც ექსპერტებთან ბაასში, მკაცრად აკრიტიკებენ კონფერენციას და აღნიშნავენ მის უნაყოფობას.

საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს რუსეთის დელეგაციის უფრო შეურიგებელ ტონს, რომელიც ამ უკანასკნელებმა აიღეს ამ ბოლო დროს და ამას მიაწერენ თითქოს კრასინის მიერ ჩამოტანილ ახალ ინსტრუქციებს.

ინგლისური პრესა კვლავ გულცივად ეკიდება კონფერენციას.

კონფერენცია მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. არა რუსული კომისია ცდილობდა აეძულებინა ლიტვინოვი ეთქვა უკანასკნელი სიტყვა ვალებისა და კერძო საკუთრების დაბრუნების შესახებ. თავის მხრივ ლიტვინოვი მოითხოვს დადებით პასუხს კრედიტების შესახებ. არც ერთი მხარე არ ფიქრობს დათმობაზე.

გერმანიის ამბები

ქარხნების კომიტეტების მოთხოვნილებანი.

ბერლინი. 28 ივნისი. ბერლინის უმთავრესს სამრეწველო დაწესებულებების საქარხნო კომიტეტის დელეგაციას რომელიც შემდგარი იყო სამივე სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან, გუშინ მოლაპარაკება ჰქონდა რეიხსტაგში ამ პარტიების ლიდერებთან. მსჯელობის მთავარ საგანს შეადგენდა მოთხოვნილება დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საერთო კრებისა. მას შემდეგ რაც უმრავლეს სოც.-დემ. წარმომადგენელმა უარი განაცხადა მოლაპარაკება ეწარმოებია სხვა პარტიების მუშებთან, დელეგაციასთან მოლაპარაკებაში შევიდა სოც.-დემ. ბრიუნი. დამოუკიდებელთა სახელით ლაპარაკობდა დისმანი, კომუნისტების—რემლე. რემლეს წინადადება, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ქარხნების კომიტეტების საერთო კრება, მიღებულ იქმნა ერთხმად და ოფიციალურად გადაეცა ქარხნების კომიტეტების ცენ. კომიტეტის თავმჯდომარეს ემილ ბარტს.

კონტრ რევოლუციის ბუდე.

ბერლინი. 29 ივლისი. საქსონიიდან მოდის ცნობები, რომ იქ არსებობს დიდი ფარული მონარქისტული ორგანიზაცია მრავალი წვრილი ორგანიზაციებით, რომელთა მიზანი არის მონარქიის აღდგენა. საქსონიის მონარქისტები მჭიდრო კონტაქტში არიან ბავარიის თავიანთ თანამოაზრეებთან. საქსონიაში მონარქისტული ორგანიზაციების მთავარ პუნქტებათ ითვლება ლეიპციგი, დრეზდენი, ხემნიცი, ცვიკაუ. „ფრეიხ პარტიის" სიტყვებით, რეაქციონერების გეგმების ფინანსური დახმარებისათვის მხოლოდ ერთ [illegible] შეადგენს ამ ცოტა ხნის წინეთ მილიონიანი ფონდი. „როტე ფანე" იძლევა დაწვრილებით [illegible] ციონერ [illegible] ფინანსური [illegible] ნიაში სამრეწველო და საგაჭრო წრეების ე. წ. „ფინანსური კომისიებისაგან". (ცნობები მონარქისტულ კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლების მზადების შესახებ მოდის ვესტფალიისაგანაც.

დამოუკიდებლები ამნისტიის წინააღმდეგ

ბერლინი. 2 ივლისი. „როტე ფანე" ჰკიცხავს სოც. დემოკრატებს მათი ამნისტიის შესახებ კანონთან დამოკიდებულების გამო. როგორც გაზეთი იუწყება, ლანდტაგის საკანონმდებლო კომისიაში ს.-დ.—მა, უარყვეს რა დამოუკიდებლებისა და კომუნისტების ყველა კითხვები დასთანხმდნენ მთავრობის მიერ შეტანილ კანონ პროექტზე ამნისტიის შესახებ მნიშვნელოვან მოქმედების შეზღუდვაში. მთავრობის კანონ-პროექტი „როტე ფანეს" მიაჩნია პოლიტიკურ ტუსაღების დაცინვად. უმრავლეს სოც. დ.—ბის დამოკიდებულება პურის გაწერისა (რაზვიორსტკა) და ამნისტიის კანონებისადმი, გაზეთის აზრით, ამტკიცებს, რომ ბერლინის შეთანხმების დარღვევის შემდეგ უმრავლეს სოც.-დ—ლი პარტია უფრო მეტს ანგარიშს უწევს ბურჟუაზიულ და კოალიციონურ პარტიების სურვილებს, ვიდრე მუშათა ორგანიზაციების სურვილებს. მაგრამ მასების მზადება გამოვიდნენ ივლისის 4-ს ახალი დემონსტრაციები ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის ძალა უფრო დიდი არის, ვიდრე ამას ფიქრობენ ს. დემოკრატები. ამ დემონსტრაციის უმთავრესი მიზანი „როტე ფანეს" აზრით, უნდა იყოს ლოზუნგად: გაუმარჯოს ნამდვილ ამნისტიას".

დამოუკიდებლები ბურჟუაზიისაკენ მიილტვიან

ბერლინი. 2 ივლისი. გერმანიის რეიხსტაგმა, სამი მთავრობის პარტიისა და დამოუკიდებელი სოციალისტების მხარის დაჭერით, 217 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 137 ხმისა, მიიღო მესამე წაკითხვის შემდეგ კანონი პურის გაწერის („რაზვიორსტკა") შესახებ. კენჭის ყრის დროს მოხდა მკაცრი შეტაკება კომუნისტებსა და დამოუკიდებლებს შორის. დამოუკიდებლებმა განაცხადეს, რომ შემდეგში შეუძლებელი ხდება კომუნისტებთან ერთად მუშაობა; კომუნისტური ობსტრუქციის მტკიცებით გაერთიანებულ ფრონტის შექმნა აგრეთვე მშრომელი მცხოვრებლების პურით უზრუნველყოფის საკითხშიაც სათანადო წინადადების შეტანის გზით სამივე პარტიების სახელით შეუძლებელი შეიქმნა, იმ უარყოფითი პოზიციის გამო, რომელიც დაიჭირეს ამ შემთხვევაში სოც.-დემ. უმრავლესობამ და დამოუკიდებლებმა. „როტე ფანეს" აზრით, დამოუკიდებლების თანხმობა მთავრობის პარტიებისაგან მოცემულ კომპრომისზე წარმოადგენს პირველ ნაბიჯს დამოუკიდებელ სოციალისტების გადასვლისას მთავრობის კოალიციის ფარულ მხარის დაჭერიდან აშკარა მხარის დაჭერისაკენ და უდრის მათი მთავრობაში შესვლას. მხოლოდ დამოუკიდებელ პარტიაზე იყო, სწერს შემდეგ გაზეთი, დამოუკიდებელი მთავრობის წინადადების უარყოფა 246 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 208-სა და ამით მიეწვევა რეიხსტაგის დათხოვნისა და პირდაპირ მიმართვა მუშათა მასებისადმი. მაგრამ დამოუკიდებლებს ეშინიათ ყოველგვარი სერიოზულ ბრძოლისა მუშათა მთავრობის შესაქმნელად და ბურჟუაზიასთან არსებითი უთანხმოების ჩამოგდებას და ერიდებიან და ამიტომ უპირატესობას აძლევენ მთავრობის კომპრომისს პურის სიძვირის საკითხში და მთავრობის კოალიციაში მონაწილეობას. ზემოდ მოხსენებული კანონპროექტი სასარგებლო მსხვილი მემამულეებისათვის რადგან მთავრობა აძლევს მათ გაწერილს პურზე მაღალ ფასებს. მაგრამ, უკიდურესი მემარჯვენე პარტიები ამითაც არ კმაყოფილდებიან და გამოდიან საერთოდ გაწერის სისტემის წინააღმდეგ.

თავდაცვის კანონპროექტი

ბორდო. 13 ივლისი. რეიხსტაგმა მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო რესპუბლიკის დაცვის კანონის პირველი მუხლები.

მემალაროების გაფიცვა.

ბორდო. 13 ივლისი. გაზ. „ტაგე" ადასტურებს, რომ პროფკავშირებმა გამოაცხადეს გაფიცვა ვესტფალიის ნავთის ყველა რაიონებში. გარდა იმ მემალაროეთა, რომელნიც ეკუთვნიან ქრისტიანულ პარტიას ყველამ განაცხადა თანხმობა მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

პრუსიის ლანდტაგში

ბორდო. 13 ივლისი. ლანდტაგმა სესიის შეწყვეტის წინ მოიწონა სოცია-

ლისტების წინადადება შკოლებში და საზოგადო დაწესებულებებში ყოფილ სამეფო გვარეულობის წევრთა ბიუსტების და სურათების დაუყოვნებლივ მოხსნის შესახებ. წინადადებას მისცეს ხმა ცენტრმა და მემარჯვენე პარტიებმა.

დაპატიმრებანი

ბერლინი. 13 ივლისი დრეზდენში დააპატიმრეს კაპიტანი, ლეიტენანტი მაიორი და კიდევ რამდენიმე პირი, რომელთაც ბრალი ედებათ რატენაუს მკვლელობაში.

მუშების ხმა

ბერლინი, 13 ივლისი. როდესაც რეიხსტაგში ირჩეოდა რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტი რეიხსტაგის ეზოში შეკრიბენ მუშათათა კავშირების დელეგაციები, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს კანონპროექტის ტექსტის წინააღმდეგ, რომელიც მიიღო იურიდიულმა კომისიამ.

დელეგატები მოითხოვდენ მთავრობისაგან მარცხენე გადახრას. კანცლერმა ვირტმა მაშინვე აცნობა ებერტს და სთხოვა დაუყოვნებლივ ჩამოსვლა ბერლინში.

უცხოეთი

ინგლისი

ამერიკის გარეშე.

ნაუენი. 13 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ლოიდ-ჯორჯი ფიქრობს მოსპოს ევროპის ფინანსიური კრიზისი მხოლოდ და მხოლოდ ევროპის ძალებით, ვინაიდან შეერთებულ შტატებს, როგორც ჩანს, არ სურთ საერთაშორისო საქმეებში მონაწილეობის მიღება. ხოლო ლონდონში ფიქრობენ, რომ შეერთებული შტატები ბოლოს და ბოლოს შეუერთდებიან ევროპას ამ უკანასკნელის აღდგენის საქმეში.

პუანკარეს ჩამოსვლა.

ნაუენი. 13 ივლისი. იტყობინებიან რომ მომავალ ორშაბათს პუანკარე ჩავა ლონდონში.

ლამანშის გვირაბი.

ნაუენი 13 ივლისი. ლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის დღევანდელ ფინანსიური მდგომარეობა ნებას არ აძლევს მთავრობას დასვას საკითხი ლამანშის გვირაბის გაყვანის შესახებ.

მარკის კურსის აწევა.

კრაუდენი, 13 ივლ. ლონდონის ბირჟაზე დღეს უეცრად მნიშვნელოვნად აიწია მარკის კურსმა.

ამერიკა.

პარმანტიეს მისია.

ბორდო. 13 ივლისი. ჩავიდა ნიუ-იორკში და გაემგზავრა ვაშინგტონში პარმანტიეს მისია. მისიის მიზანია დაიწყოს მუშაობა შეერთებულ შტატებისაგან აღებულ საფრანგეთის ვალების შესახებ. პარმანტიემ განაცხადა, რომ საფრანგეთი გადაიხდის ვალებს შეძლებისდაგვარად, და ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ გერმანია გადაუხდის საფრანგეთს თავის ვალებს.

იტალია.

კაბინეტის დეკლარაცია

ხვალ ან ზეგ რომში გაიმართება მინისტრების საბჭოს სხდომა.

შესაძლებელია, რომ სხდომის შემდეგ კაბინეტი გააკეთებს დეკლარაციას ორთავე პალატაში.

მთავრობის კრიზისი მოსკოვში.

მოსკოვი. 13 ივლისი. მთავრობის კრიზისი პოლონეთში გრძელდება. გაზ. „კურიერ პორანნი“ იტყობინება, რომ სეიმმა კენჭის ყრით მოახდინა თვითმკვლელობა. ფუჭულად სცდილობს იგი შექმნას როგორიმე მთავრობა. ამ გადაუწყვეტელ საკითხის შესახებ თავის მტრების მაგიერ უკეთესი იქნებოდა მას ეფიქრნა დათხოვნის შესახებ.

გაზ. „ვეჩერნი კურიერი“ იუწყება, რომ მემარჯვენეების კანდიდატი პრემიერობის თანამდებობაზე არის კორფანტი. ჯერ კიდევ არ არის მიღებული მისი თანხმობა.

ირლანდიაში

მოსკოვი. 13 ივლ. დუბლინსა და ბელფასტს შორის ურთიერთობა კვლავ შეწყვიტეს ამბოხებულებმა, რომელთაც ააფეთქეს ხიდი და დაანგრიეს რკ. გზის ლიანდაგი.

რკ. გზელთა გაფიცვა ამერიკაში

მოსკოვი. 13 ივლ. ჩიკაგოდან იტყობინებიან, რომ ამერიკელ რკ. გზელთა გაფიცვა სერიოზულ სახეს ღებულობს ნიუ-ჯერსიში დაიწყო არეულობა, რადგანაც გაფიცულნი შესცვალეს ინდუსებით. ილინოისში რკ. გზის სადგური დაიკავა ჯარმა.

გერმანიის კაბინეტის კონსტრუქცია

მოსკოვი. 13 ივლ. რეიხსტაგის სოციალისტ უმრავლესობის ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია მთავრობაში ესდეკების (?) არ დაშვების შესახებ.

მბეჭდავთა გაფიცვა

მოსკოვი. 13 ივლ. ბერლინიდან იტყობინებიან: ბერლინის მბეჭდავების გაფიცვა დამთავრდა მით, რომ პოლიგრაფიული მრეწველობის საჯარიმო კომისიამ წარადგინა შემარიგებელი წინადადება, რომელიც მიიღეს მეპატრონეებმა და მუშებმაც.

გერმანიის მარკის კურსი

მოსკოვი, 13 ივლისი. ინგლისის პრესა გაცხარებით არჩევს გერმანიის მარკის კურსის დაცემის საკითხს და გამოსთქვამს სხვა და სხვა მოსაზრებებს იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც საჭიროა გადაიდგას ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. გაზეთები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური მოსაზრებანი უნდა გადაიდვას და მთელი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ეკონომიურ მოსაზრებებს.

კომუნისტების დევნა და საფრანგეთის დეპუტატთა პალატა.

მოსკოვი. 13 ივლისი. (დასაწყისი არ არის მიღებული)... სამხედრო გუბერნატორმა აკრძალა ყველა კომუნისტური გაზეთი, კომუნისტური ორგანიზაციები და წაიღო პროტოკოლები და კომინტერნის მოწოდებანი. კომუნისტ დეპუტატებმა კაშენმა და ლაფონმა პროტესტი განაცხადეს ამ ზომების წინააღმდეგ დეპუტატთა პალატაში. პუანკარემ განაცხადა, რომ კომუნისტურ ორგანიზაციების დახურვა უკანონოა (გამოტოვებულია)... ტუნისში შესაძლებელია. შეეხო რა კომინტერნის მოწოდებას პუანკარემ განაცხადა, რომ ისინი ეხებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის პიროვნებას, ვინაიდან მოწოდებაში მას [illegible] სოციალ-[illegible] საფრანგეთისას. პალატამ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს.

პოლიტიკური პატიმარნი ბავარიაში.

მოსკოვი. 13 ივლ. ესერების ყოფილმა დამცველმა როზენფელდმა წარმოსთქვა სიტყვა რეიხსტაგში, რომელიც ეხებოდა ბავარიაში პოლიტიკური ტუსაღების მდგომარეობას. როზენფელდმა მიუთითა იმას, რომ რეიხსტაგში ყოველი პროტესტის შემდეგ, რომელიც ეხებოდა დატუსაღებულთა საშინელ მდგომარეობას, მათი ცხოვრების პირობები კიდევ უფრო უარესდება. ბავარიის მთავრობამ არ დართო ნება მწერალ კომუნისტ ტოლერს დასწრებოდა თავისი პიესის პირველ წარმოდგენას. ამავე დროს-კი [illegible] მკვლელი, რომელსაც კატორღა აქვს მისჯილი, დღეს-დღეობით მუშაობს თავისი მეგობრის მამულში.

სხვა და სხვა ამბები

კიპროსის საკითხი.

ნაუენი, 13 ივლ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის ახალშენების საქმეთა სამინისტროს სრულიადაც არ აქვს სურვილი კიპროსის ბერძნებისათვის გადაცემისა.

საფრანგეთ-ისპანიის სავაჭრო ხელშეკრულება.

ბორდო, 13 ივლ. გაზ. „ჟურნალ ოფისიელ“-ში გამოქვეყნებულია დეკრეტი საფრანგეთ-ისპანიის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ, რომელიც დადებულ იქნა 8 ივლისს მადრიდში.

ლაქია ცდილობს.

ბორდო, 13 ივლ. სტოკჰოლმის გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ სათანადო მნიშვნელობას აკუთვნებს პუანკარეს მშვიდობიან „პოლიტიკას 1912—1914 წლებში და ამბობს, რომ ეს პოლიტიკა სავსებით შეეფერება საფრანგეთის ინტერესებს.

სამხრეთ-სლავია და იტალია.

რომი, 13 ივლ. ბელგრადიდან მიღებულ ცნობებით ახლო მომავალში მოელიან იტალია-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების რატიფიკაციას, რომელიც დადებულ იქნა სანტა-მარგარიტაში იტალიის პრესა თუმცა მეტად ფრთხილად ეპყრობა ამ ფაქტს, მაგრამ მაინც გამოსთქვამს კმაყოფილებას ამ ცნობის გამო. გამოსთქვამს იმედს, რომ ორთავე ქვეყნის მთავრობები ჩქარა აიშორებენ თავიდან ყველა იმ გაუგებრობას, რომელიც ხელს უშლის ამ ქვეყნების კეთილგანწყობილებას.

რატენაუს მკვლელნი.

რომი. 13 ივლისი ბერლინის პოლიციამ მაგდებურგის მახლობლად დააპატიმრა რატენაუს მკვლელები. სადგურ სტენდერში დაპატიმრებულია [illegible] რომლის ჩანთაში იპოვეს 100 კილოგრამი (4 ფ. და 10 გირ.) ასაფეთქებელი ნივთიერება.

პალესტინის საკითხი

რომი, 13 ივლისი. ინგლისის თემთა პალატამ 210 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 60 ხმისა უარყო მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ფორმულა, რომელიც შეტანილი იყო პალესტინის გამო პალესტინის საკითხით.

მორატორიუმი და სესხი გერმანიისათვის

რომი. 13 ივლისი. ინგლისის კაბინეტს ქონდა გუშინ თათბირი გერმანიის მარკის დაცემით შექმნილ მდგომარეობის შესახებ, ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

ფიქრობენ, რომ გერმანიას, გადაუვადებენ გადახდის ვადას და მისცემენ საერთაშორისო სესხს.

შანცერის მოგზაურობა

რომი. 13 ივლისი. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა გააკეთა მოხსენება საგარეო ურთიერთობის საპარლამენტო კომისიაში თავის მოგზაურობის შესახებ შანცერის სიტყვით იმ 6 [illegible] მნიშვნელოვან შედეგებს ინგლის-იტალიის ურთიერთობის საკითხში.

რუსეთი

ძველი ესერების მოწოდება

მოსკოვი. 13 ივლ. ძველ ესერების 17 აქტიურმა მუშაკებმა რომელიც შედიან ესერების პარტიის ზლატოუსტის ორგანიზაციაში, გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აცხადებენ „ჩვენ ესერების პარტიის ყოფილი ორგანიზაციის ძველ აქტიურ წევრთა ერთი ჯგუფი, გვესმის რა ჯგუფის წარმომადგენლის ტიმოფეევის დეკლარაციას, რომელიც წაკითხულ იქნა, უმაღლეს ტრიბუნალის სასამართლოში, საჭიროდ ვსთვლით მკაცრად განვაცხადოთ, რომ ჩვენც გვიდევს ბრალი პარტიის 1917—1618 წ. გამოსვლებში და მზად ვართ ჩვენს ყოფილ ხელმძღვანელებთან ერთად ვიყოთ [illegible] პასუხისმგებელნი. 1918 წლის დამლევს ზლატოუსტის ორგანიზაციამ ჩასთვალა რა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულად წარუდგინა ცეკას ულტიმატიური განცხადება ამ უფლებით, საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ბრძოლის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ, რაც ცეკამ უყურადღებოდ დასტოვა. ნამდვილ საზოგადოებრივ აზრის გამოსარკვევად ესერების პარტიის შესახებ ჩვენ ვსთვლით აუცილებლად ესერების პარტიის ძველი წევრების სრული და [illegible] ლეგალურ ყრილობის მოწვევას პარტიის ლიკვიდაციის საკითხის შესახებ, ვინაიდან ჩვენის ღრმა რწმენით, ძველი ესერების უმრავლესობა [illegible] საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ [illegible] და მთელი კაპიტალის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. ეს მოწოდება დათარიღებულია 1922 წლის 26 ივნისით.

მოსავლის პირი

მოსკოვი. 13 ივლ. იაროსლავის გუბერნიაში წვიმების გამო მოსავლის კარგი პირი უჩანს. ბალახის მოსავალი კარგია.

სამეურნეო ფრონტზე

მოსკოვი. 13 ივლ. რიდერის მადნეულები სემიპალატინსკში, რომელიც 5 წ. განმავლობაში მიყრუებული იყო გამოცოცხლდა. დაიწყო [illegible] ფაბრიკამ მუშაობას შეუდგა ხელახლად აშენებული ელექტრონის ქარხანა.

იაროსლავში დამთავრდა მახორკის ფაბრიკის რემონტი რომელიც დანგრეული იყო 1919 წელს. ფაბრიკის მოწყობილება აკმაყოფილებს მეხანიზაციის ყველა მოთხოვნილებებს.

საქონლის გატანა საზღვარ გარედ.

მოსკოვი. 13 ივლისი. ნოვგოროდის საგუბერნიო ვაჭრობის კომიტეტმა დატვირთა პეტროგრადის ნავსადგურში მეათე გემი, რომელიც მიდის გერმანიაში.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა.

მოსკოვი. 13 ივლისი. ნიჟნი ნოვგოროდის სამაზრო კომიტეტმა მიიღო ცნობა თურქესტანიდან ბაზრობაზე 108 ვაგონი სხვა და სხვა საქონლის გამოგზავნის შესახებ.

უკანასკნელ ხანებში გაიხარა მოთხოვნილება ბირჟაზე ტრესტების კოოპერატივების და კერძო ფირმების მხრივ. გაცემულ სავაჭრო სადგომებს 50 პროც. ხვდება ვაჭრობას,

საქონლის გაცვლა გამოცვლა.

მოსკოვი. 13 ივლისი. იტალიის და ინგლისის მუშებმა მოიტანეს ფეოდოსიაში 2150 ტონი ტვირთი დონის და მოსკოვის მეტალურგიის ნაწარმოებზე გამოსაცვლელად.

ნავთის პროდუქტები.

მოსკოვი 13 ივლისი. იაროსლავიდან იტყობინებიან, რომ ამ უკანასკნელ თვეში ვოლგით მოიტანეს 3 მილიონ ფუთზე მეტი ნავთის პროდუქტები.

ბანდიტიზმი.

მოსკოვი 13 ივლისი. ვოლგის მხარეში, მოქმედი ბანდიტი გორინი დაიჭირეს, ბანდიტებმა [illegible] და გვპირდებიან მშვიდობიანი მუშაობის დაწყებას დანებებულთ [illegible].

საბჭოთა მართლ-მსაჯულება.

მოსკოვი 13 ივლისი. სემიპალატინსკის რევტრიბუნალმა გაარჩია გენერალ ბაკიჩის აქტიური დამხმარე 20 პირის საქმე. ბრალდებულთა შორის არიან ცნობილი კონტრ-რევოლიუციონერები, რომელნიც ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ და ხვრეტდნენ გლეხობას, რომელზედაც კი მიიტანდნენ ეჭვს მის ბოლშევიკობაში. 13 ბრალდებულს მიუსაჯეს დახვრეტა, დანარჩენებს სხვა და სხვა ვადით დაპატიმრება.

ბრძოლა შიმშილობასთან.

მოსკოვი 13 ივლისი. აქტიუბინსკის გუბერნიაში შიმშილობა მცირდება.

დახმარება დამშეულებს.

მოსკოვი 13 ივლისი. ახალი მიწიდან (Новая земля) გემ „იაროსლავზე“ დაბრუნებულნი იტყობინებიან, რომ [illegible] რუსეთის შიმშილობის [illegible], გადადვეს დამშეულთა დასახმარებლად საკუთარი განძეულობა და დაიწყეს ქონისა და ფულის შეკრება.

დამშეულთა დამხმარე ცეკამ გადაწყვიტა არ შეამციროს მასიური დახმარება დამშეულთათვის მომავალი მოსავლის მოწევამდე. დახმარების ნაწილი უნდა გადაიქცეს წარმოების დახმარებათ, მოსავლის [illegible] დამშეულთათვის დახმარება უნდა გადიდდეს მოსავლის მოწევის შემდეგაც.

მოხალისეთა ფლოტი.

მოსკოვი. 13 ივლისი. ამ ახლო ხანებში პეტროგრადიდან ლონდონს გაეგზავნება კომისია იმ გემების ჩასაბარებლად, რომელნიც შედიოდნენ მოხალისეთა ფლოტში და რომელნიც ამ ჟამად ინგლისში იმყოფებიან.

პურის ნათესის მდგომარეობა.

მოსკოვი. 13 ივლისი. ტვერის გუბერნიაში ნათესის მდგომარეობა გამოჯანსაღდა. ამ გუბერნიაში მყოფი ვოლგის მხარის ლტოლვილნი მიისწრაფვიან თავის სამშობლოსაკენ.

ბუხარაში.

მოსკოვი. 13 ივლისი. ბუხარის წითელი არმიის ნაწილებმა დაამარცხეს ენვერ-ფაშა, რომელიც ცდილობდა [illegible] ბუხარის მთავრობის წინააღმდეგ. [illegible] გაიქცა [illegible] თავისი [illegible]. ენვერის დამარცხებამ გამოიწვია [illegible] წითელი არმიის მისვლის დროს მცხოვრებლები [illegible] ენვერის დროს. ბასმაჩების ფერგანის ჯგუფი, რომელსაც [illegible] ხელმძღვანელობს [illegible] და რომელიც დარწმუნდა [illegible] ჯგუფების უნაყოფობაში თანდათან იშლება ზოგი მეთაური თავისი ნებით დაყარა იარაღი.

ახალი ამბები

კოჯორი—ბავშვთა ქალაქი. ტფილისის უპატრონო ბავშვთაგან განტვირთვის მიზნით, რომელთა რაოდენობა აღწევს 5000 დის ტფ. ქალ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში დაიბადა აზრი კოჯორის ბავშვთა ქალაქად გადაქცევისა და ამ მიზნით იქ იქნა გაგზავნილი სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე დაათვალიერა 47 სახლი. ყველა ეს სახლები თხოულობენ დიდს რემონტს, უმთავრესად სახურავსას. საერთო რემონტი დაჯდება არა ნაკლებ ერთი მილიარდისა. ამ მიზნის განხორციელების წინ ელოდება აგრეთვე დიდი გასავალი ბავშვების შენახვისათვის საჭიროებებზე. თითოეული ბავშვის შენახვა ქალაქს უჯდება ორი მილიონი მანეთი.

— **სახლების მშენებლობა** ტფ. ქალ. აღმასკომმა შეკრა ხელშეკრულება თამამშევის ქარვასლის მოიჯარადრეებთან 5 წლის ვადით. ქარვასლის მოიჯარადრეების კოლექტივი აძლევს კომუნალურ განყოფილებას საჭირო თანხას ქარვასლის რემონტისათვის. რემონტს შეუდგებიან ამ დღეებში.

— **ბოტანიკური ბაღი.** დღიდან ბოტანიკურ ბაღში ფულიანი შესვლის დაწესებისა [illegible], მარტიდან ივლისამდის იყო 16.000 ფულიანი შემსვლელი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მრავალრიცხოვანი უფასო ექსკურსიები.

— **ტრანსპორტნიკები.** ახლახან დახურულმა საქართველოს ტრანსპორტის მომუშავეთა 2-ე ყრილობამ აირჩია ტრანსპორტის მომუშავეთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა: ამხ. იმნაძე (პასუხისმგებელი მდივანი), კლდიაშვილი, ჩისტიაკოვი, [illegible]კო, ჩიჩუა, სულხანიშვილი, ანისიმოვი და წერეთელი. [illegible] გეობის 3 ეგ დ[illegible].

— **მეტალისტები.** მეტალისტების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: ამხ. ბაგრატ მაჩაიძე (პასუხისმგებელი მდივანი და ორგგანყოფილების გამგე), ივანე პრეობრაჟენსკი (სატარიფო ეკონომიური განყოფილების გამგე) და ილია სალიაშვილი (კულტურულ განყოფილების გამგე); კანდიდატები: ამხ.—ავადკოვი. კავშირის ხაზინადრად არჩეულია ამხ. ბუნდაძე.

— **მეტალის განყოფილება.** უ. ს. საბჭოს მეტალის განყოფილების კოლეგიაში მეტალის პროფკავშირის გამგეობის მიერ არჩეულ იქმნენ ამხ. კალანდაძე, გარინი და დათუნაშვილი.

— **არსენალი.** არსენალი სამხედრო უწყების გამგებლობიდან გადავიდა უ. ს. საბჭოს განკარგულებაში.

— **დასვენების სახლები.** იმის გამო, რომ დასასვენებელ სახლებში მოწყობის მსურველნი დღითი დღე იზრდება, ს. უ. კავ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გადიდდეს ორივე მცხეთის დასასვენებელ სახლებში მოსათავსებელთა რიცხვი 50-დან 70-მდის. მუშათა ახალი პარტია, რომელიც უნდა მოეწყოს დასასვენებელ სახლებში, იგზავნება 17 ივლის. 3 ივლ პარტიაში იყო 73 კაცი, მაგრამ მათგან გაგზავნილ იქმნა 50 კაცი.

ეპიდემიური მდგომარეობა რესპუბლიკაში. 1-დან 8 ივლისამდის საქ. ს. ს. რესპუბლიკაში აღრიცხულია შემდეგი ეპიდემიური დაავადებულები სენაკის მაზრაში 1 შემთხვევა პარტახტიანი ტიფით, გორის მაზრაში—2 ხოლერით დაავადებულნი (საეჭვო) დუშეთის მაზრაში—2 საეჭვო შემთხვევა ხოლერით დაავადებისა, ტფილისის ქალაქის საავადმყოფოში შეყვანილია 20 პარტახტიანი ტიფით დაავადებულნი, 9 ყვავილით და 28 ხოლერით (საეჭვო) ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში 16 პარტახტიანი ტიფით დაავადმყოფებულნი.

— **ტფ. ელექტროფიკაცია.** ზემო ავჭალაში ჰიდრო ელექტრონის სადგურის აგებისათვის უკანასკნელ ს კომიტეტმა სასწრაფოდ ცნო გამოიყენოს სამხედრო ნაწილების წითელ არმიელთა შრომა, რომელნიც იმყოფებიან ტფილისში იმ პირობით, რომ ეს მოწყობილი იქნება ორგანიზაციულად და სურსათის მიწოდებას იკისრებს კომიტეტი. ამასთან ნავე დადგენილია [illegible] სახალხო კომისარის წინაშე, რათა გამოყენებულ იქმნას ჰიდროელექტრონის საჭიროებისათვის უშუალოდ [illegible] პროდუქტების მიწოდება.

— შრომის ბეგარისადმი მიმართვა ჰიდრო ელექტრონის სადგურის აშენებაში მისცემს ქალაქს ეკონომიას 300 000 და 400.000 მანეთამდის ოქროთი.

— **წყლის მიწოდება.** იმის გამო, რომ [illegible] ჰიდრო ელექტრონის სადგურიდან არ არის წყლის მიწოდება, დადგენილია იქნეს მიღებული ზომები [illegible] მიწოდების [illegible].

პროვინციის ცხოვრება

— [illegible] ბაღდადის მაზრაში, (ოფობაზეთი) ცნობილი ბანდიტი მიხეილ არჩაბაძე, რომელიც გადაჰყავდათ საგანგებო კომისიაში, მოინდომა დარაჯებისათვის იარაღის აყრა და გაქცევა. ბანდიტი მოკლულ იქმნა.

— **ახალი ხაზი.** ივნისის 26 ს გაიხსნა ახალი ხაზი შავი ზღვის გემთა მისვლისათვის, ნოვოროსიისკ—ბათომის, რომლის მიხედვითაც მგზავრობის დროს შეივლიან შემდეგ ნავსადგურებში: ფოთში, ოჩამჩირეში, სოხუმში, გუდაუთში, გაგრაში, ადლერში, სოჭში და გელენჯიკში.

— **მოსავალი აფხაზეთში.** კოდორის მაზრაში სიმინდის დათესვა დამთავრდა. დათესილია 35 პროც. მეტი შედარებით ომამდე დათესილ მიწებისა. მცხოვრებლები შეუდგნენ ხორბლეულის მოკრეფას. თამბაქოც დათესილია 55 პროც. მთელი სივრცისა. მოსავალი არაჩვეულებრივია. სოხუმის მაზრაში თავის დროზე მოვიდა საჭირო წვიმები. მოსავალს კარგი პირი უჩანს. დათესილია გასულ წელზე მეტი 55 პროც.-ით. და ომამდე არსებულ ნორმაზე 35 პროც-ით. მაზრაში დაარსებულია 7 პუნქტი მიწად მოქმედ. კომისარიატისაგან სამიწადმოქმედო იარაღების დასარიგებლად. მცხოვრებლები სიამოვნებით სარგებლობენ იარაღებით. განზრახულია 3 პუნქტის 14-დე გადიდებისა.

— **წყალდიდობა ბორჯომში.** ივლი

სის 11-ს საღამოს 4 საათზე, დიდი წვიმების გამო გადიდდა მდინარე ბორჯომი, რომელიც გადავიდა თავის ნაპირებზე და წყლით აავსო ბორჯომის პარკის ნაწილი და მდებარე ადგილები. ასეთი წყალდიდობა ჯერ არ ახსოვს ბორჯომს. ზარალი დიდია. წაიღო წყალმა ერთი რკინისა და ერთი ხის ხიდები. გადღეულია წყლის გამტარებელი თხრილი, რომელიც ასაზრდოებდა ელექტრონის სადგურს უკანასკნელი ამ ჟამად არ მუშაობს. პარკიც სერიოზულად დაზიანებულია; დასილულია ეკატერინეს წყლის აბანოები, მაგრამ დიდათ არ არის დაზიანებული. დაზიანებულია თეატრი. შენგრეულია მესამე სანატორიის შენობა. დაზიანდა მზის აბანოები. შედგა კომისია წყალდიდობისაგან გამოწვეულ ზარალის გამოსარკვევად, დიდი ზარალისა და განადგურებისა გამო შესაძლებელია სამკურნალო სეზონი კურორტზე გაგრძელებული არ იქნეს.

სამხატვრო ქრონიკა

— **პავლე ინგოროყვას მოხსენება.** კვირას, ივლისის 16, საღამოს 9 საათზე, ხელოვნების სასახლეში (სერგეევის, 13) შესდგება ახალი მწერლობის კავშირის მორიგი სხდომა, რომელზედაც პ. ინგოროყვა გააკეთებს მოხსენებას „ჰერეთის ქართული დიალექტიზმები რუსთაველის ვეფხის ტყაოსანში". დასწრება შეუძლია მხოლოდ ჩაწერილთა ორივე კავშირის წევრებს და აგრეთვე საგანგებოთ მოწვეულ პირებს.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობა.

1921 წელში, საქ. ცენტრალური სტატისტიკური მმართველობის ცნობების მიხედვით ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებიდან გატანილი იყო (ოქროს მანეთებში, კურსის მიხედვით) 2,510,7 ათასი მანეთის და შემოტანილი იყო 10,187,7 ათასი მანეთის საქონელი. ამ რიგად შემოტანამ გადააჭარბა გატანას 7,677,0 ათასი მანეთი.

საქონლის მიხედვით შემოტანა და გატანა შემდეგ სურათს წარმოადგენს (ათასი მანეთით).

	გატანილი.
საკვები მასალა	267,0
ნედლი მასალა და ნახ. ფაბრიკატი	1,752,3
ცხოველები	0,0
ფაბრიკა ქარხნების ნაწარმოებნი	465,8
საქონელი სახელწოდების აღუნიშნავი	25,6
სულ	2,510,7
	შემოტანილი.
	4,473,9
	534,4
	0,5
	5,178,7
	0,2
სულ	10,187,7

ამ რიგად ექსპორტში პირველი ადგილი უჭირავს ნედლ მასალას და ნახევრად ფაბრიკატებს რომელიც შეადგენს მთელი გატანის 69,85 პროცენტს. მეორე ადგილი უჭირავს ფაბრიკა ქარხნების ნაწარმოებს, რომელიც შეადგენს 18,6 პროცენტს. რაც შეეხება შემოტანას აქ პირველი ადგილი უჭირავს ფაბრიკატების შემოტანას—50,85 პროც. და მეორე ადგილი კი სასურსათო საქონელს—43,9 პრ. შემოტანის მხრივ თუ დავყოფთ ქვეყნებს, პირველი ადგილი უჭირავს სტამბოლს, რომლიდანაც შემოტანილია 1,072,0 ათასი მანეთის საქონელი ე. ი. 42,7 პრ. ოსმალეთიდან სტამბოლის გარეშე 666,6 ათასი მანეთის ე. ი. 26,5, რაც შეეხება შემოტანას პირველი ადგილი უჭირავს იტალიის—6,268,0 ათასი მანეთის — ე. ი. 61,5 პროც. და ამერიკა—1.836,1 ათასი მანეთის ე. ი. 13,1 პროც. შემდეგი ადგილი უჭირავს ოსმალეთს სტამბოლის გარეშე—579,9 ათასი მანეთის; ჩინეთს—327,5 ათასი მანეთის და ინგლისს 297,5 ათასი მანეთის. მონაწილეობა სხვა სახელმწიფოთა შემოტანაში არ არის მნიშვნელოვანი.

თუ განვიხილავთ შემოტანილ და გატანილ საქონელს საბაჟოების მიხედვით, მაშინ დავინახავთ, რომ უდიდესი რაოდენობა საქონლის, როგორც მოსალოდნელი იყო, შემოსულია ბათომის საბაჟოთი—2.087,4 ათასი მან. ე. ი. 83,1 პრ. და ტფილისის—386,1 ათასი მანეთის ე. ი. 15,4 პრ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქონლის წონისა და ფასეულობის მიხედვითაც პირველი ადგილი უჭირავს ბათომის საბაჟოდან შემოსულ საქონელს.

თვეების მიხედვით წონასწორობა შემოტანას და გატანას შორის წარმოადგენს შემდეგ სურათს. მარტში და აპრილში საქონლის ფასის მიხედვით გატანილია უფრო მეტი, ვიდრე შემოტანილი. ხოლო რაც შეეხება სხვა თვეებს შემოტანა სჭარბობს გატანას. („3 B.")

მბეჭდავ მუშათა კავშირის საზოგადო კრება

ხუთშაბათს, ივლისის 13 ს, საქ. პროფ. კავშ. საბჭოს დიდ დარბაზში შესდგა პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა პროფესიონალური კავშირის კრება, რომელსაც წევრთა დიდი ნაწილი დაესწრო. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ამხ. შ. ელიავამ მოხსენება გააკეთა რუსულად გერმანიის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მოხსენება კრების დიდი ნაწილისთვის გაუგებარი დარჩა, ვინაიდან ის, როგორცა ვთქვით, რუსულად იქნა წაკითხული მიუხედავად იმისა, რომ მბეჭდავთა კავშირში უმეტესობა ქართველობაა. ამის შემდეგ ცენტრალური გამგეობის წარსული მოქმედების შესახებ კრებას მოახსენა გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ბერბერაშვილმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო გამგეობის მოღვაწეობის სხვა და სხვა მხარეებს და წარმოადგინა კავშირის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც კავშირის გამგეობის მოღვაწეობა მოწონებულ იქნა. პოლიგრაფიული განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა განყოფილების კოლეგიის წევრმა ხარაზიანმა. ის ვრცლად შეეხო პოლიგრაფიული განყოფილების მუშაობას და აღნიშნა, რომ, მიუხედავად ცუდი პირობებისა, პოლიგრაფიამ შესძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება და ამ ჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს საკმაოდ მტკიცე ნიადაგზე დაყენებული წარმოება, რომელშიაც ოთხასზე მეტი მუშა მუშაობს და ჩვენ შეძლებისადაგვარად ვაკმაყოფილებთ მუშების საჭიროებასო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ დაწესებულებებზე და კერძო პირებზე ითვლება ჩვენი საკმაოდ დიდი ვალი, პოლიგრაფია ახერხებს და მუშა-მოსამსახურეებს თავის დროზე უსწორებს ანგარიშსაო. ამ ჟამად პოლიგრაფიულ განყოფილებას აქვს გამომუშავებული რთული საწარმოო გეგმა, რომლის განხორციელებასთან მჭიდროთაა დაკავშირებული არა თუ ბეჭდვითი წარმოების აღორძინების საქმე, თვით ამ წარმოებაში ჩაბმული მუშა-მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხიცო. კრებამ ამ მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც პოლიგრაფიული განყოფილების მუშაობას იწონებს.

დასასრულ მოხდა დელეგატების არჩევნები მომავალ სრულიად საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშათა კონფერენციისთვის. ასარჩევი იყო 47 დელეგატი. ძველმა გამგეობამ წარმოადგინა სია № 1, რომელშიაც კანდიდატთა შორის დასახელებული იყვნენ, როგორც კომუნისტები, ისე მემარცხენე ესერები და უპარტიონი. მენშევიკებმა და მემარჯვენე ფედერალისტებმა წამოაყენეს მეორე „გაერთიანებული" სია, რომელშიაც აგრეთვე 47 დელეგატი იყო დასახელებული. აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვია საკითხმა, თუ როგორი სისტემით მომხდარიყო კენჭის ყრა. მემარჯვენეები მოითხოვდნენ პროპორციონალურსა და ფარულ ხმის მიცემას, ხოლო კომუნისტები აშკარას. კრებამ მემარჯვენეთა მიერ წამოყენებული „დემოკრატიული" არჩევნების ფორმა უარყო. კენჭი უყარეს პირველ სიას, ე. ი., გამგეობისას, რომელმაც მიიღო 400-მდე ხმა. ამით რა თქმა უნდა, გადაწყდა მემარჯვენეთა სიის სავალალო ბედი, მაგრამ ზოგიერთის მოთხოვნის თანახმად ამ სიასაც უყარეს კენჭი. მემარჯვენეთა სიამ, რომელშიაც, როგორცა ვთქვით, 47 კანდიდატი იყო წამოყენებული, მიიღო... 20 ხმა, ასე რომ თითო კანდიდატს თითო ხმაც არ ერგო. ამრიგად კრების დიდმა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა პირველ სიას, რომელშიაც ოთხი ჩვენი ამხანაგიც არის: ე. ტოროტაძე, დ. მელაშვილი, პ. ახალკაცი და ა. სირაძე.

მემარჯვენეების ასეთი გაბახება ჩვენ სრულიადაც არ გვახარებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია პროფესიონალური კავშირის გამგეობაში ყველა მიმდინარეობას მიეცეს ადგილი, ვინაიდან ვიცით, რომ მათშიაც არიან მომუშავენი, რომელთაც სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო შეთანხმება სხვა მიმართულებებთან და არა საკუთარი სიის გამოტანა, რომლითაც მხოლოდ თავიანთი სისუსტე და ორგანიზაციული დაშლა გამოააშკარავეს.

ე.

მთავრობის მოქმედ. და განკარგულებანი

დადგენილება № 38.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამსახურის საქმის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის საქმის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვით, 47 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღნიშნული დადგენილების 1, 2, 4 და 6 მუხლი შეიცვალოს შემდეგ ნაირად:

მუხლი 1.—საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაწესებულების თანამშრომელნი, სამსახურის გამო ტფილისში ჩამოსულნი, მოვალენი არიან ტფილისში ჩამოსვლისათანავე, არა უგვიანეს 24 საათისა, გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ იმ სახალხო კომისარიატებში, რომელსაც ექვემდებარება დაწესებულება, სადაც თანამშრომელი მსახურობს, და წარადგინონ თავიანთი საბუთები ვიზის მისაღებათ (სარეგისტრაციოდ), ასევე უნდა მოიქცენ ისინი თავიანთი სამსახურის ადგილზე უკან დაბრუნებისას.

მუხლი 2,—ამრიგადვე ის პირნი, რომელნიც სამსახურის გამო მივლინებულნი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და ადგილებში, მოვალენი არიან იმავე ვადის განმავლობაში (მუხ. 1) რეგისტრაციის წესით აღინიშნენ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში.

მუხლი 4,—საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ მივლინებულ პირთ მე-3 მუხლში აღნიშნული მოწმობანი უნდა ჰქონდეთ სათანადო სახალხო კომისარის ან მისი მოადგილის და აგრეთვე საქმეთა მმართველის (ან მდივნის) ხელმოწერილი, და ეს მოწმობანი აუცილებლად გატარებულ უნდა იქნენ სათანადო კომისარიატის რეგისტრაციაში.

მუხლი 6,—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ შემოიღონ ყოველდღიური აღნუსხვა (რეგისტრაცია) სამსახურის გამო მომსვლელ და წამსვლელ პირთა ყოველკვირა წარუდგინონ ამ სარეგისტრაციო აღნუსხვის ამონაწერის სათანადო სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სვანიძე.

1922 წ. ივლისის 13.

ტფილისი—სასახლე.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

2 ივლისს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის სააუქციონო დარბაზში სიმთვრალის გამო ფიზიკურად შევეხე ამავე დარბაზის მოლარე მოქ. ალ. სულავას, მისგან გამოწვეული მიზეზით.

დიდათ ვწუხვარ, რომ მომხდარი ინციდენტით დამსწრე საზოგადოებას უსიამოვნება მივაყენე, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე.

პატივისცემით ომ. დაჭრ, დასახ. კავშირის გამგეობის წევრი: **ზ. ხომერიკი.**

[illegible]— სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— ცენტრალური კომიტეტი

განცხადება

შაბათს, 15 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ტფ. ქალ. აღმასკომის შენობაში

შესდგება სხდომა

ქალაქის მე-2-ე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა.

დღის წესრიგი:

1. პროექტი სავალდებულო დადგენილებისა საბინაო საკითხების შესახებ.
2. პროექტი სავალდებულო დადგენილებისა წყალზე და ელექტრონის განათებაზე ფასის გადახდის და ანგარიშის წესის წარმოებისათვის.
3. მოხსენება მუშათა უბნებზე.
4. მიმდინარე საქმეები.

საკითხების სერიოზულობის გამო ყველა წევრების გამოცხადება თავის დროზე სავალდებულოა.

მდივანი **მეხხი.**

დადგენილება

ტფილისის აღმ. სკომის პრეზიდიუმის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ ურთი-ერთ შორის ანგარიშების მოწესრიგების შესახებ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებანი გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშებზე. ამისათვის სწორი ანგარიშების მისაცემად სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაზე ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ სთვლის, ოცი დღის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა, მოაწესრიგოს ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებთან საურთიერთო ანგარიშები ამ წლის პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე, აღმასკომის კომუნალურ და საფინანსო განყოფილებათა საშუალებით.

ყოველ გვარი ანგარიშები და პრეტენზიები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომელთაც არ ექნებათ მოწესრიგებული დანიშნულ ვადაზე ანგარიშები, დატოვებული იქნებიან უყურადღებოთ.

ხოლო ამ წლის პირველ ივნისიდან ტფილისის აღმასკომის ორგანოებმა თავისი მუშაობა უნდა აწარმოვონ დაინტერესებულ მხარეებთან კონტოკორენტიულ ანგარიშების გასწორებით ნაღდ ფულზე და არავითარი ჩარიცხვა გადარიცხვა ორგანოების ანგარიშებისა, თუნდაც ერთ და იგივე დაწესებულებებში, დაშვებული არ იქნება.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**
კომუნ. განყოფილების გამგე **ი. წივწივაძე.**
საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ღლონტი.**

ქალ. ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის

გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ შაბათს, 15 ივლისს, დღის 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) ელიზავეტოპოლი—ვორონცოვის ქ. № 12.
2) შემახა—ცხრამეტი თებერვლის ქ. № 4.
3) ევროპა—პლეხანოვის პრ. 3. № 5.
4) ახუნდოვის ნომრები — ვორონცოვის ქ. № 35.
5) ყარაბახი—აბანოს ქ. № 4.
6) ადერბეიჯანი—ვორონცოვის ქუჩა № 24.
7) ბორჯომი—19 თებერვლის ქ. № 93.
8) სამტრედია—მეიდნის ქ. № 2.
9) ირანი—ვორონცოვის ქ. № 26.

პირობებს გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საჯარო ვაჭრობის გამგე დარახველიძესთან. 3—3

ტირაჟი 700

საქართვ. ცენტ. აღმ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა,

ნ. დ. ს. ც.